<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


გიორგი შენგელაიას ქ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/6469452**
თარიღი: **27/01/2021**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, იუნკერების-პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის, ასევე ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის სამხედრო მოღვაწე ვლადიმერ გოგუაძის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გიორგი შენგელაია

(1937-2020)

ქართველი მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, **საქართველოს სახალხო არტისტი.**

დაიბადა ქ. თბილისში, 1959 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი

1955-1959წწ. იყო კინოსტუდია "ქართული ფილმის" მსახიობი; 1959 წლიდან - რეჟისორი. არის რეჟისორი ფილმებისა: "ალავერდობა", "მაცი ხვიტია", "ფიროსმანი", "ვერის უბნის მელოდიები", "სიყვარული ყველას უნდა", "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" , "ხარება და გოგია", "სიყვარული ვენახში", "მიდიოდა მატარებელი" და სხვ. ასევე გადაღებულია ფილმებში.

მიღებული აქვს ამიერკავკასიისა და უკრაინის რესპუბლიკის კინოფესტივალის დიპლომი, ბერგამოს მე–10 საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი "დრაკონი" და ფიპრეისის დიპლომი, ჩიკაგოს მე–10 საერთაშორისო კინოფესტივალის დიდი პრიზი „ოქროს იუგო“, დიდი ბრიტანეთის კინოსტუდიის პრემია, აზოლას საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი პრემია, ფინეთის ხელოვნების აკადემიის პრიზი, კინოხელოვნების საშუალებებით ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის საპატიო დიპლომი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ბრინჯაოს მედალი და სხვა პრიზები.

გარდაიცვალა 2020 წლის 17 თებერვალს, 82 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.